



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 2723058001

თარიღი:27/02/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 12**

**27 თებერვალი 2023 წ.**

**ქ. თელავი**

**„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

1. გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოების ვადა „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტის მისაღებად.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 20 მარტის ჩათვლით.
4. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად 2023 წლის 01 აპრილამდე.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

